



# სტუდენტების ხელმისაწვდომობა სასწავლო ლიტერატურაზე

კვლევის ანგარიში

2021 წელი

კვლევა განახორციელა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ  
საქმეთა საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით



ASSOCIATION OF YOUNG  
ECONOMISTS OF GEORGIA

## განსაკუთრებული მადლობა

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია მადლიერებას გამოხატავს კვლევის განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირის - უმაღლესი სასწავლებლების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც წვლილი შეიტანეს წინამდებარე ანგარიშის შექმნაში. აღნიშნული თანამშრომლობისა და მიღებული ღირებული ინფორმაციის გაზიარების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა კვლევის განხორციელება და წინამდებარე ანგარიშის შემუშავება.

მიუხედავად კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა, კვლევის მიმდინარეობისას კვლევის განხორციელების პროცესში თითოეულმა მათგანმა აქტიურად შეუწყო ხელი ღირებული ინფორმაციის ღიად მიწოდებას მკვლევარებისათვის.

კვლევის ფარგლებში განხორციელებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების და რაოდენობრივი (online) ინტერვიუების რესპონდენტების მიერ პრაქტიკული გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების გაზიარება ღირებული იყო კვლევის ძირითადი მიგნებების გამოვლენისათვის.

განსაკუთრებული მადლიერება გვსურს გამოვხატოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიმართ - კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

## შინაარსი

|   |    |
|---|----|
| მოკლე მიმოხილვა.....  | 1  |
| კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია.....  | 2  |
| კვლევის მიზანი.....   | 2  |
| კვლევის ამოცანები.....  | 2  |
| რაოდენობრივი კვლევა.....  | 3  |
| ფოკუს ჯგუფები.....  | 3  |
| კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები.....   | 4  |
| I. ზოგადი სტატისტიკა.....   | 5  |
| II. საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებზე (წიგნებზე) ზოგადი ხელმისაწვდომობის შეფასება სტუდენტებს შორის.....                  | 9  |
| III. სტუდენტების სასწავლო მასალის დაუფლების/სწავლების ფორმები.....  | 15 |
| IV. სტუდენტების მიერ დასახელებული სახელმძღვანელოები, რომლებიც არ არის მათთვის ხელმისაწვდომი. დამატებითი შეფასებები.....   | 20 |
| დანართი.....  | 28 |
| <b>დანართი #1.</b> რაოდენობრივი (online) კვლევის კითხვარი.....  | 28 |
| <b>დანართი #2.</b> ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო.....   | 32 |
| <b>დანართი #3.</b> კატეგორია „სხვა“ - მოიცავს ისეთი სახელმძღვანელოების ჩამონათაღს, რომელიც დასახელდა არაუმეტეს ორჯერ..... | 35 |

## მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შესწავლა სტუდენტებში.

კვლევა მოიცავს საქართველოს მასშტაბით არსებულ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში სასწავლო სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობის შეფასებას, არსებული ლიტერატურის და ნათარგმნი სახელმძღვანელოების ხარისხის შეფასებას, სახელმძღვანელოების ავტორებისათვის მამოტივირებელი ფაქტორების და ბარიერების შესწავლას, დარგების (ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებების) განსაზღვრას და პრობლემების იდენტიფიცირებას ამ მიმართულებით.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს განხორციელებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების გაერთიანებულ ანალიზს. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვლენილია კვლევის მიგნებები.

## კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია

### კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შესწავლა სტუდენტებში.

### კვლევის ამოცანები

- სტუდენტებში სასწავლო სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობის განსაზღვრა.
- არსებული ლიტერატურის მდგომარეობის შეფასება კვლევაში ჩართული მხარეების მიერ - რამდენად თანამედროვეა ლიტერატურა, ნათარგმნის შემთხვევაში შეფასება თარგმანთან და ხარისხთან დაკავშირებით.
- დაინტერესებული მხარეების შეფასება - რა ძირითადი მამოტივირებელი ფაქტორები და ბარიერებია სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში ავტორებისთვის.
- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებები), დარგების განსაზღვრა, რომლებშიც დგას სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობისა (ასევე არსებობის) და მდგომარეობის პრობლემა.
- კვლევამ უნდა დაფაროს, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები თბილისსა და რეგიონებში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია და კვლევის შემდგომი ინსტრუმენტები:

- რაოდენობრივი (online) კვლევა (თბილისსა და რეგიონში მცხოვრები სტუდენტებთან);
- ფოკუს ჯგუფები (უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის წამომადგენლებთან, უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სახელმძღვანელოების ავტორებთან, აკადემიურ პერსონალთან, განათლების სფეროში მომუშავე რგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებული მხარეებთან.

რაოდენობრივი (online) კვლევა განხორციელდა 2020 წლის დეკემბრიდან, ხოლო თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფები განხორციელდა ამავე წლის მარტში.

კვლევის პირველ ეტაპზე 2020 წლის დეკემბერში ოფიციალური წერილები დაეგზავნათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და უმაღლეს სასწავლებლებს, რათა მხარდაჭერა გაეწიათ უნივერსიტეტის სტუდენტებთან კოორდინირებაში და სტუდენტთა ელექტრონულ ფოსტის მისამართებზე კვლევის ფარგლებში შემუშავებული ელექტრონული კითხვარის დაგზავნაში.

კვლევის მიზნისა და ამოცანებისა გათვალისწინებით, კვლევა განხორციელდა სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით: შემუშავდა რაოდენობრივი (online) კვლევის კითხვარი (დანართი 1) და ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო (დანართები 2).

### რაოდენობრივი კვლევა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი (online) და სატელეფონო კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საკვლევი საკითხების ირგვლივ რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შემუშავდა სტრუქტურირებული თვით ადმინისტრირებადი კითხვარი, რომელიც დაეგზავნათ თბილისსა და რეგიონში მცხოვრებ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებთან. კითხვარი შეივსო 2435 სტუდენტის მიერ, აქედან 1934 კითხვარი შეივსო ონლაინ, ხოლო 501 სტუდენტთან ჩატარდა სატელეფონო კვლევა. კითხვარების მონაცემების შეყვანა მოხდა SPSS-ის ბაზაზე შექმნილ სპეციალური პროგრამის ფორმატში. შემდგომ მოხდა მონაცემთა გაწმენდა და მომზადდა გამომავალი სტატისტიკური ცხრილები, რომელიც გულისხმობს მონაცემების დამუშავებას კითხვების მიხედვით სხვადასხვა ჭრილში.

### ფოკუს ჯგუფები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები ჩატარდა უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სახელმძღვანელოების ავტორებთან, აკადემიურ პერსონალთან, განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებული მხარეებთან. სულ ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა. კერძოდ:

- სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან - 3 ფოკუს ჯგუფი (ელექტრონული Zoom პლატფორმის გამოყენებით);
- 6 ფოკუს -ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან;
- 1 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებული მხარეებთან;
- 2 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორებთან.

კვლევის პირველი ეტაპზე შემუშავდა ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო, საკვლევი საკითხების მოცულობიდან/თავისებურებიდან გამომდინარე, თითოეული ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობა განისაზღვრა 1,5 – 2 საათით. ჯგუფური დისკუსიის შეხვედრების დროს გაკეთდა აუდიო ჩანაწერი, შედეგად მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტი.

## კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები

კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები დაკავშირებული იყო კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეულ საქართველოში დაწესებულ შეზღუდვებთან, რის გამოც უმაღლესი სასწავლებლები გადასული იყო დისტანციურ მუშაობაზე. შესაბამისად გართულებული იყო ინფორმაციის დროული მიღების შესაძლებლობა. უმაღლეს სასწავლებლებთან ოფიციალური წერილების დაგზავნა განხორციელდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორ ეტაპად. კვლევით გუნდს ასევე უწევდა დამატებით სატელეფონო და სოციალური ქსელით დაკავშირება უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან, რაც ასევე შეფერხებული და გაძნელებული იყო.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და უმაღლეს სასწავლებლებს, რათა მხარდაჭერა გაეწიათ უნივერსიტეტის სტუდენტებთან კოორდინირებაში და


შესაბამისად, კვლევის ფარგლებში უნივერსიტეტების მიერ სტუდენტთა ელექტრონულ ფოსტის მისამართებზე კვლევის ფარგლებში შემუშავებული ელექტრონული კითხვარის დაგზავნა მოხდა 2021 წლის იანვარში.

## I. ზოგადი სტატისტიკა


გამოკითხულ რესპოდენტთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 2435 სტუდენტი. გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა 18-24 წლის ასაკის იყო (89%). გამოკითხულთა 69% იყო მდებრობითი სქესის. 87% წარმოადგენდა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტს. გამოკითხულთა 69%-მა განაცხადა რომ დასაქმებული არ არის. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა (59%) წარმოადგენს შემდეგ სწავლის სფეროებს: ბიზნეს ადმინისტრირება და სამართლი (31%), ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა (14%) და განათლება (13.5%), რაც გულისხმობს რომ ამ სფეროებში არსებული სტუდენტებმა გამოიჩინეს ყველაზე მაღალი აქტიურობა კვლევის პროცესში. შესაბამისად, კვლევის ანალიზი, მეტწილად პასუხობს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის მდებრობითი სტუდენტების შეფასებებს. კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის რაოდენობრივ კვლევაში სტუდენტთა მონაწილეობის თანაფარდობა თითქმის ერთნაირია - სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს გამოკითხულთა 57%, ხოლო კერძო უნივერსიტეტში შესაბამისად 43%.

ცხრილი # 1. რესპოდენტთა განაწილება ასაკობრივ ჭრილში

| ასაკი | რაოდენობა | %   |
|-------|-----------|-----|
| 18-24 | 2179      | 89% |
| 25-29 | 205       | 8%  |
| 29+   | 51        | 2%  |




დიაგრამა # 1. განაწილება გენდერულ ჭრილში




დიაგრამა # 2. უმაღლესი სასწავლებლის სახეობა






დიაგრამა # 3. სწავლების საფეხური




დიაგრამა # 4. დასაქმების მაჩვენებელი გამოკითხულ სტუდენტებს შორის

გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ 2018-2019 აკადემიური წლის განმავლობაში ზოგადად საშუალოდ თვეში და წელიწადში სტუდენტური ცხოვრების ხარჯები შეადგენდა 300 ლარზე მეტს.




დიაგრამა # 5. სტუდენტური ცხოვრების ხარჯი საშუალოდ თვეში დასაქმების ქრილში 2018-2019 წლებში




დიაგრამა # 6. სტუდენტური ცხოვრების ხარჯი საშუალოდ წელიწადში დასაქმების ქრილში, 2018-2019 წლებში

ასევე, სტუდენტებმა დაასახელეს მათ მიერ გაწეული ხარჯები საშუალოდ თვეში და წელიწადში, რომელიც გაწიეს სასწავლო ლიტერატურისა და წიგნების შესაძენად. კვლევით დგინდება, რომ საშუალო თვიური ხარჯი შეადგენს 50 ლარამდე. საინტერესოა ეს მონაცემი სწავლების სფეროების ქრილში, რითიც დგინდება, რომ ინფორმაციისა და

კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში გამოკითხულთა უმრავლესობა უფრო მეტად არ ხარჯავს თანხას სასწავლო მასალის შესაძენად; მომსახურებების სწავლების სფეროში უფრო მეტად იხარჯება 100-200 ლარის ფარგლებში, ხოლო ჯანდაცვა სოციალური კეთილდღეობის სფეროში წელიწადში საშუალოდ იხარჯება 300 ლარზე მეტი.




დიაგრამა # 7. სასწავლო ლიტერატურის/წიგნების შესაძენად გაწეული ხარჯი საშუალოდ თვეში დასაქმების ქრილში 2018-2019 წლებში



დიაგრამა # 8. სასწავლო ლიტერატურაზე/წიგნების შესაძენად გაწეული ხარჯი საშუალოდ წელიწადში დასაქმების ქრილში 2018-2019 წლებში

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

კლასიფიკატორის მიხედვით სწავლის სფეროები კლასიფიცირდება შინაარსობრივი დაჯგუფების პრინციპით და მოიცავს ფართო სფეროს, ვიწრო სფეროს და დეტალურ სფეროს. კლასიფიკატორით დადგენილია 11 ფართო სფერო.



დიაგრამა # 9. კვლევაში სტუდენტთა განაწილება დასახელებული სწავლების ფართო სფეროების მიხედვით

კვლევაში მონაწილეობის შესახებ თანამშრომლობაზე მზაობა გამოაცხადა 46-მა უმაღლესმა სასწავლებელმა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შიდა ბაზების გამოყენებით გააზიარეს ონლაინ კვლევა თავის სტუდენტებს შორის. დაბალი აქტივობის გამო კვლევის კითხვარი გაზიარდა უნივერსიტეტების ფეისბუკ გვერდებზეც, სტუდენტური თვითმმართველობების დახმარებით, ასევე სხვა ისეთ აქტიურ საგანმანათლებლო ჯგუფებში სადაც სტუდენტები იყრიან თავს. კვლევის შედეგად, საშუალო და მაღალი ჩართულობა სტუდენტების კვლევაში მონაწილეობის მხრივ ქონდა 28 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, ხოლო დანარჩენ 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ჩართულობა იყო ძალიან დაბალი რაც ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში კითხვარი შეავსო არაუმეტეს 4 სტუდენტისა. შესაბამისად, კვლევაში ჩათვლილია და წარმოდგენილია მხოლოდ ისეთი უნივერსიტეტების სტუდენტების შედეგები სადაც სტუდენტთა რაოდენობა აღემატება 4-ს.


ცხრილი # 2. კვლევაში მონაწილე უმაღლესი უნივერსიტეტების ჩამონათვალი და სტუდენტთა რაოდენობები (დალაგებულია კლებადობით)

| N | უმაღლესი სასწავლებლის დასახელება            | კვლევაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა |
|---|---|---------------------------------------|
| 1 | საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ       | 275                                   |
| 2 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 271                                   |

|    |   |     |
|----|---|-----|
| 3  | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი                       | 269 |
| 4  | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი                                       | 164 |
| 5  | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი         | 155 |
| 6  | კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი                                   | 134 |
| 7  | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი   | 127 |
| 8  | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი                                    | 127 |
| 9  | თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია   | 104 |
| 10 | საქართველოს უნივერსიტეტი  | 92  |
| 11 | თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი                                    | 87  |
| 12 | სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი                          | 87  |
| 13 | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი                              | 81  |
| 14 | აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი                                       | 78  |
| 15 | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი                                | 75  |
| 16 | საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი                                    | 64  |
| 17 | ახალი უმაღლესი სასწავლებელი   | 51  |
| 18 | გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი                               | 47  |
| 19 | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია                  | 41  |
| 20 | კავკასიის უნივერსიტეტი  | 24  |
| 21 | სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი   | 17  |
| 22 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | 15  |
| 23 | იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი          | 13  |
| 24 | გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი          | 12  |
| 25 | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი                                  | 8   |
| 26 | ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი                    | 7   |
| 27 | თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი                                      | 5   |
| 28 | ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი   | 5   |

## II. საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებზე (წიგნებზე) ზოგადი ხელმისაწვდომობის შეფასება სტუდენტებს შორის

ზოგადი შეფასებით, გამოკითხულ სტუდენტთა 36%-მა განაცხადა რომ სახელმძღვანელოები (წიგნები) ძირითად სპეციალობებში ნაწილობრივ ხელმისაწვდომია.




დიაგრამა # 10. ზოგადი ხელმისაწვდომობის შეფასება.

სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი რადიკალურად განსხვავებული არ არის. აღსანიშნავია, რომ კერძო უნივერსიტეტებში სასწავლო სახელმძღვანელოზე სრულად ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებელი უმეტრო მეტია ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტებში და შეადგენს 39%, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტებში უფრო მეტად შუალედური პასუხები დასახელდა (ნაწილობრივ და მეტნაკლებად), რაც მიუთითებს იმაზე, რომ კერძო უნივერსიტეტები უფრო უზრუნველყოფენ სტუდენტებს სასწავლო წიგნებით და რესურსებით. მსგავსი შედეგია სწავლების საფეხურებს შორისაც - შეფასებებს შორის როგორც ერთი საფეხურის ქვეშ ასევე საფეხურებს შორისაც მცირედი განსხვავებებია, რაც ნიშნავს რომ სტუდენტთა მოსაზრებები კვლევის ფარგლებში მრავალფეროვანია და უკიდურეს მონაცემებს არ იძლევა.

ცხრილი # 3. ზოგადი ხელმისაწვდომობის შეფასებები უმაღლესი სასწავლებლების სახეობების მიხედვით.

|            | სრულიად ხელმისაწვდომია | ნაწილობრივ ხელმისაწვდომია | მეტნაკლებად ხელმისაწვდომია | ნაწილობრივ არ არის ხელმისაწვდომი | სრულიად არ არის ხელმისაწვდომი |
|------------|------------------------|---------------------------|----------------------------|----------------------------------|-------------------------------|
| სახელმწიფო | 24%                    | 39%                       | 24%                        | 9%                               | 5%                            |
| კერძო      | 39%                    | 32%                       | 20%                        | 5%                               | 3%                            |



დიაგრამა # 11. ზოგადი ხელმისაწვდომობა სწავლების საფეხურის მიხედვით.


თვისებრივ კომპონენტში სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნივერსიტეტში არის ბიბლიოთეკები, თუმცა წიგნების მიღება ძალიან რთული პროცესია, ასევე სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ლიტერატურა, რომელიც მათ ჭირდებათ არ არის ხელმისაწვდომი, ან არის იმდენად ცოტა რაოდენობა, რომ არ ყოფნით სტუდენტებს.

სტუდენტების აზრით ზოგადად იურიდიული ლიტერატურის მოძიება სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა სტუდენტების აზრით ლექტორები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მიაწოდონ დასკანერებული მასალა. ზოგჯერ რამდენიმე წიგნის პდფ ვერსია არ არის ხოლმე ატვირთული, ამის გამო, სტუდენტებს უწევთ ლექტორთან ხშირი კომუნიკაცია, რათა ხელახლა მოხდეს მისი ატვირთვა.

*„ჩემს უნივერსიტეტში, ოთხი ბიბლიოთეკაა სხვადასხვა კორპუსში, მაგრამ დღემდე ვერ ვიღებთ წიგნებს. ძალიან დიდი პრობლემაა ჩვენთან მაგ მხრივ. რეალურად, ლიტერატურა რომელიც ჩვენ გვჭირდება არ არის ან არის და იმდენად ცოტაა, რომ ფიზიკურად არ ყოფნით ბავშვებს. ამიტომ გვიჩვენს ან ონლაინ, ქსეროქსების გადაღება ან მაღალ კურსელებთან სირბილი. რთულია წიგნის მოპოვება“.*

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს (გამოკითხული 49 სტუდენტიდან 49%), ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები (გამოკითხული 93 სტუდენტიდან 48%), სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარიას (გამოკითხული 37 სტუდენტიდან 43%), და განათლების (გამოკითხული 328 სტუდენტიდან 38%) სფეროებს - მიიჩნევენ რომ მათ სფეროში სწავლების პროცესში სახელმძღვანელოებზე (სასწავლო ლიტერატურაზე) არის სრული ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება შუალედურ შეფასებებს - ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ან/და მეტნაკლებად ხელმისაწვდომია, მაღალი პროცენტული მაჩვენებლები აქვს იმ სტუდენტთა შეფასებებს, რომლებიც წარმოადგენენ ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებების (გამოკითხულია 324 სტუდენტი),

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (გამოკითხულია 241 სტუდენტი) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკის (გამოკითხულია 109 სტუდენტი) სფეროებს.



დიაგრამა # 12. ზოგადი ხელმისაწვდომობა სწავლების სფეროების ჭრილებში.

საგულისხმოა, რომ კვლევაში ყველაზე მაღალი ჩართულობა ქონდათ სტუდენტებს რომლებიც სწავლობენ ბიზნეს ადმინისტრირების, სამართლის სფეროში. აღნიშნულ სფეროში ზოგადი ხელმისაწვდომობის შეფასებების განაწილების მაღალი მაჩვენებლები მოდის სრულიად, ნაწილობრივსა და მეტნაკლებად ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად ამ სფეროში გამოკითხული 765 სტუდენტი მიიჩნევს რომ არსებობს ხელმისაწვდომობის პრობლემები თუმცა მცირედი. მომდევნო სფერო, რომლის წარმომადგენლობითი მაჩვენებელი კვლევაში იყო ასევე მაღალი - ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა (14% - 339 სტუდენტი) მიიჩნევს, რომ ყველაზე დაბალი ხელმისაწვდომობაა მათ სფეროში სასწავლო სახელმძღვანელოებზე. არსებულ მაჩვენებლებში ყველაზე მაღალი პროცენტული ნიშნული - 24% (რაც წარმოადგენს ჯამს პასუხების: ნაწილობრივ არ არის (15.9 %) და სრულიად არ არის (8.3%)) სწორედ მათზე მოდის. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებში ღია პასუხებსა და შეფასებებში ძირითადად ამ სფეროს სახელმძღვანელოები ან ფართო სფეროს შემადგენელი ვიწრო ან დეტალური სფეროს დასახელება იყო წარმოდგენილი.

„პირველ კურსზე გავდიოდით კონსტიტუციურს, და ამაში გავვიმართლა იმიტომ, რომ იყო ალტერნატივა, ან ერთი წიგნი იყო ირაკლი კობახიძის სახელმძღვანელო, რომელიც გამოიცა 2019 წელს, მაგრამ გაყიდვაში არ არის. შარშან პირველკურსელებს დაურთდათ და იმის მიხედვით ასწავლიან. ანუ ფაქტობრივად თუ შარშანდელ პირველკურსელებს არ იცნობ, სახელმძღვანელოს ვერ იპოვნენ. ან უნდა დაიწყო ქსეროქსების ძებნა“.

„მე ქონდა ერთხელ ესეთი შემთხვევა, საგანს ერქვა დემოკრატია და მოქალაქეობა და იყო ქართულად ნათარგმნი წიგნი, მაგრამ იმდენად რთულად იყო ნათარგმნი, რომ ლექტორი ამ ყველაფერს ხელახლა გადმოგვიქართულებდა ხოლმე. ანუ იმდენად რთული წინადადებები იყო, რომ ჰუმანიტარებსაც გვიჭირდა ხოლმე და რამდენჯერმე ხელახლა გვიწევდა ხოლმე ერთი და იგივე წინადადებების წაკითხვა. საგანს ერქვა დემოკრატია და მოქალაქეობა, მაგრამ წიგნის ავტორს ვერაფრით ვერ ვიხსენებ, სამწუხაროდ. საგანი ზურაბ კვიციანიასთან გავიარე. 3 წიგნი იყო ძირითადი და 1 იყო ძალიან რთული“.

რიგ უნივერსიტეტებში სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით უნივერსიტეტს აქვს ონლაინ პლატფორმა, სადაც ატვირთილია ყველა სასწავლო მასალა და შესაბამისად ონლაინ ფორმატიდან გამომდინარე, ისინი თვლიან, რომ ეფექტიანია, ვინაიდან და რადგანაც სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ სასწავლო მასალაზე, თუმცა აღნიშნავენ რომ რთულია ამდენი მასალის ონლაინ რეჟიმში კითხვა და სწავლა, აქედან გამომდინარე მათი აზრით სასურველია, რომ სტუდენტებს ხელი მიუწვდებოდეთ სახელმძღვანელოებზე.

ცხრილი # 4. ზოგადი ხელმისაწვდომობა უმაღლესი უნივერსიტეტების მიხედვით.

| უმაღლესი სასწავლებელი (დალაგებულია გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით) | სრულიად ხელმისაწვდომია | ნაწილობრივ ხელმისაწვდომია | მეტნაკლებად ხელმისაწვდომია | ნაწილობრივ არ არის ხელმისაწვდომი | სრულიად არ არის ხელმისაწვდომი |
|--|------------------------|---------------------------|----------------------------|----------------------------------|-------------------------------|
| საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (275)                                  | 42%                    | 32%                       | 17%                        | 5%                               | 3%                            |
| თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (271)                            | 7%                     | 29%                       | 37%                        | 18%                              | 9%                            |
| ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (269)                        | 31%                    | 41%                       | 19%                        | 6%                               | 4%                            |
| სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (164)  | 24%                    | 52%                       | 16%                        | 4%                               | 3%                            |
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (155)          | 24%                    | 43%                       | 25%                        | 5%                               | 3%                            |




|   |     |     |     |     |    |
|---|-----|-----|-----|-----|----|
| კავკასიის<br>საერთაშორისო<br>უნივერსიტეტი (134)                                       | 37% | 43% | 14% | 1%  | 4% |
| ილიას სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი (127)  | 35% | 42% | 19% | 3%  | 1% |
| საქართველოს<br>ტექნიკური<br>უნივერსიტეტი (127)  | 35% | 34% | 21% | 6%  | 3% |
| თბილისის აპოლონ<br>ქუთათელაძის<br>სახელობის სახელმწიფო<br>სამხატვრო აკადემია<br>(104) | 13% | 31% | 32% | 16% | 9% |
| საქართველოს<br>უნივერსიტეტი (92)  | 20% | 42% | 29% | 4%  | 4% |
| თბილისის ღია<br>სასწავლო<br>უნივერსიტეტი (87)   | 44% | 33% | 15% | 6%  | 2% |
| სულხან-საბა<br>ორბელიანის სასწავლო<br>უნივერსიტეტი (87)                               | 26% | 33% | 25% | 11% | 3% |
| სამცხე-ჯავახეთის<br>სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი (81)                                   | 30% | 44% | 17% | 6%  | 2% |
| აღმოსავლეთ ევროპის<br>უნივერსიტეტი (78)   | 42% | 32% | 21% | 4%  | 1% |
| აკაკი წერეთლის<br>სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი (75)                                     | 23% | 33% | 25% | 9%  | 9% |
| საქართველოს საავიაციო<br>უნივერსიტეტი (64)  | 47% | 22% | 27% | 3%  | 2% |
| ახალი უმაღლესი<br>სასწავლებელი (51)   | 73% | 20% | 6%  | 0%  | 2% |
| გრიგოლ რობაქიძის<br>სახელობის<br>უნივერსიტეტი (47)                                    | 51% | 17% | 26% | 2%  | 4% |
| პეტრე შოთაძის<br>სახელობის თბილისის<br>სამედიცინო აკადემია<br>(41)                    | 32% | 22% | 22% | 17% | 7% |
| კავკასიის<br>უნივერსიტეტი (24)  | 46% | 21% | 29% | 0%  | 4% |
| სასწავლო<br>უნივერსიტეტი გეომედი<br>(17)  | 47% | 29% | 12% | 6%  | 6% |
| საქართველოს შოთა<br>რუსთაველის თეატრისა<br>და კინოს სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი (15)   | 47% | 20% | 33% | 0%  | 0% |
| იაკობ გოგებაშვილის<br>სახელობის თელავის<br>სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი (13)            | 15% | 62% | 15% | 8%  | 0% |
| გურამ თავართქილაძის<br>სახელობის თბილისის<br>სასწავლო<br>უნივერსიტეტი (12)            | 33% | 33% | 25% | 0%  | 8% |
| შავი ზღვის<br>საერთაშორისო<br>უნივერსიტეტი (8)  | 0%  | 50% | 38% | 13% | 0% |

|  |     |     |     |     |     |
|--|-----|-----|-----|-----|-----|
| ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (7) | 14% | 43% | 29% | 0%  | 14% |
| თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (5)                   | 60% | 0%  | 20% | 20% | 0%  |
| ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (5)                      | 40% | 40% | 20% | 0%  | 0%  |

### III. სტუდენტების სასწავლო მასალის დაუფლების/სწავლების ფორმები

კითხვაზე, თუ რა ფორმით ეუფლებიან/ეუფლებოდნენ სასწავლო მასალას ძირითადი სპეციალობის შესწავლის დროს სტუდენტები, ყველაზე ხშირად დასახელდა „ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული“, „ციფრული, უფასოდ ჩამოთვირთული“ და „ქსეროასლები“.





დიაგრამა # 13. სასწავლო მასალის დაუფლების ფორმები

თითოეული სასწავლო მასალის ფორმის დასახელების შემდგომ, ყველა სტუდენტს უნდა შეეფასებინა შესაბამისი სახელმძღვანელოს ფორმის დებულებები, რომლებიც ეხმიანობოდა მათ სტრუქტურას, შინაარსის ხარისხს, თარგმნის ხარისხს და მისთ.

#### ➤ ბეჭდური სახელმძღვანელოების შეფასებები დებულებების მიხედვით

■ სრულიად ვეთანხმები ■ მეტ-ნაკლებად ვეთანხმები ■ ნაწილობრივ არ ვეთანხმები  
■ სრულიად არ ვეთანხმები ■ ვერ ვაფასებ





➤ ციფრული სახელმძღვანელოების შეფასებები დებულებებით

■ სრულიად ვეთანხმები ■ მეტ-ნაკლებად ვეთანხმები ■ ნაწილობრივ არ ვეთანხმები  
■ სრულიად არ ვეთანხმები ■ ვერ ვაფასებ





➤ სხვა სახის სასწავლო რესურსის შეფასებები


■ სრულიად ვეთანხმები ■ მეტ-ნაკლებად ვეთანხმები ■ ნაწილობრივ არ ვეთანხმები  
■ სრულიად არ ვეთანხმები ■ ვერ ვაფასებ



➤ დამატებითი დებულებები




ყველაზე ხშირად ბეჭდური წიგნის გამოყენება დასახელდა სწავლების შემდეგ სფეროებში: ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა; მომსახურებები; ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა. ყველაზე ნაკლებად ბეჭდურ სახელმძღვანელოებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სტუდენტები ასახელებდნენ.



დიაგრამა # 14. ბეჭდური სახელმძღვანელოების დასახელების სიხშირე.

ციფრული ფორმით სახელმძღვანელოების გამოყენება ყველაზე მაღალი სიხშირით სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის სწავლების სფეროს სტუდენტებმა დაასახელეს, რასაც მოსდევს განათლება და ხელოვნება/ჰუმანიტარული მეცნიერებები.



დიაგრამა # 15. ციფრული სახელმძღვანელოების დასახელების სიხშირე.

სხვა სახის სასწავლო რესურსით სწავლება, როგორებიცაა ჰენდაუთი, კონსპექტი და მისთანები, ძირითადად დასახელდა ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობის (35%) სწავლების სფეროს სტუდენტების მიერ, რომელსაც მოსდევს სიხშირით მომსახურებებისა (31%) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (31) სწავლების სფეროები.

სასწავლო მასალის სწავლების ფორმები უნივერსიტეტების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში #5. სადაც ნაჩვენებია პირველი სამი, ყველაზე მეტად დასახელებული,

სახელმძღვანელოს ფორმა უნივერსიტეტების ჭრილში. აქვე, ნათლად ჩანს, რომ კერძო უნივერსიტეტებში მაღალი მაჩვენებლები მოდის ლექტორის მიერ გაზიარებულ ციფრულ წიგნებზე ან/და უფასოდ ჩამოტვირთულ ციფრულ წიგნებზე, მაშინ, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ძირითადად ბეჭდური ფორმის სახელმძღვანელოებით ხდება სწავლება.

ცხრილი # 5. პირველი სამი, ყველაზე მეტად დასახელებული სახელმძღვანელოს ფორმა უნივერსიტეტების ჭრილში.

|   |   |
|---|---|
| აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი                                | 1. ბეჭდური, ქსეროასლი (75%)<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (54%)<br>3. ციფრული უფასოდ ჩამოტვირთული ( )                                  |
| ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი                       | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (53%);<br>2. ბეჭდური, ქსეროასლი (45%);<br>3. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (42%)                     |
| თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია   | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (61%);<br>2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (52%);<br>3. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (32%)           |
| თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი                           | 1. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (65%)<br>2. ბეჭდური, ქსეროასლი (59.6%)<br>3. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (54%)                           |
| იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი          | 1. ბეჭდური, ქსეროასლი (75%);<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (50%)<br>3. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (50%)                            |
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი         | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (74%);<br>2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (64%);<br>3. სხვა სახის რესურსი (38%)                             |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი   | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (76%);<br>2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (50%);<br>3. ბეჭდური, ქსეროასლი (35%)                             |
| სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი                              | 1. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან (43%);<br>2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (40%);<br>3. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (39%)         |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი                                    | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (50%);<br>2. ბეჭდური, ქსეროასლი (50%);<br>3. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (36%)                     |
| საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (67%);<br>2. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან (47%);<br>3. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (40%) |
| სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი                                       | 1. ბეჭდური, ქსეროასლი (51%);<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (46%);<br>3. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (38%)                     |
| აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი                                       | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (48%);<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (43%);<br>3. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (40%)           |
| ახალი უმაღლესი სასწავლებელი   | 1. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (57%);<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (51%)<br>3. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან (38)           |
| გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი                               | 1. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (57%)<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (46%)<br>3. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან (36%)         |
| გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი          | 1. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (73%)<br>2. ბეჭდური, ქსეროასლი (55%)<br>3. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (46%)                       |
| თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი                                      | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (75%);  |

|  |   |
|--|---|
|  | 2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (75%)<br>3. სხვა სახის სასწავლო რესურსი (50%)   |
| თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი                   | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (48%)<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (47%)<br>3. ბეჭდური, ქსეროასლი (38%)                     |
| კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი                  | 1. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (49%)<br>2. ბეჭდური, ქსეროასლი (40%)<br>3. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (34%)                           |
| კავკასიის უნივერსიტეტი                               | 1. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (79%)<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (67%)<br>3. სხვა სახის სასწავლო რესურსი (33%)                    |
| პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (73%)<br>2. ბეჭდური, ქსეროასლი (51%)<br>3. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (46%)                             |
| სასწავლო უნივერსიტეტი გომედი                         | 1. ბეჭდური, ქსეროასლი (71%)<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (47%)<br>3. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (47%)                     |
| საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ                | 1. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (57%)<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (48%)<br>3. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (36%)           |
| საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი                   | 1. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (47%);<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (46%)<br>3. ბეჭდური, ქსეროასლი (42%)                    |
| საქართველოს უნივერსიტეტი                             | 1. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (68%)<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (45%)<br>3. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (43%)           |
| სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი         | 1. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (57%)<br>2. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (49%)<br>3. ბეჭდური, ქსეროასლი (39%)                     |
| ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი                        | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (80%)<br>2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (80%)<br>3. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან (60%)         |
| შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი                 | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (63%)<br>2. ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით (38%)<br>3. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან (38%) |
| ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი   | 1. ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული (86%)<br>2. ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული (86%)<br>3. სხვა სახის სასწავლო რესურსები (43%)                  |

#### IV. სტუდენტების მიერ დასახელებული სახელმძღვანელოები, რომლებიც არ არის მათთვის ხელმისაწვდომი. დამატებითი შეფასებები

კვლევის ფარგლებში, სტუდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ სამი კურსი ან/და სახელმძღვანელო, რომელიც არ არის მათთვის ხელმისაწვდომი ან ხელმისაწვდომია, თუმცა არ იძლევა კურსით განსაზღვრული მიზნების მიღწევას რაიმე მიზეზის ან გარემოების გამო. საერთო ჯამში, კვლევამ ღია კითხვის ქვეშ ამოიღო 46 პასუხთა ჯგუფი. მათ შორისაა ზოგადი შეფასებები, რომელიც არ იძლევა კონკრეტული სახელმძღვანელოს ან/და კურსის გამოვლენის შესაძლებლობას; კურსების ან განათლების საფეხურის დასახელება - იგულისხმება რომ მიმდინარე კურსზე ან განვლილ კურსებზე ან საფეხურებზე არ იყო ხელმისაწვდომი ზოგადად; კატეგორია

„სხვა“ - მოიცავს ისეთი სახელმძღვანელოების ჩამონათაღს, რომელიც დასახელდა არაუმეტეს ორჯერ; და, კატეგორია „არ ვიცი/არ მახსოვს“. ჯამში, 2435 სტუდენტთან მხოლოდ 189 სტუდენტმა შეიკავა თავი სახელმძღვანელოს დასახელებისგან. გამოკითხულთა 61% კომენტარის სახით დააფიქსირა რომ „სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია („ასეთი წიგნი არ არის-უნივერსიტეტი თვითონ უზრუნველგვყოფს ყველანაირად“).

გამოკითხულთა 0.3% თვლის რომ „არსებული სახელმძღვანელო მოძველებულია განახლებას საჭიროებს ან/და სათარგმნია („ნათარგმნი თუ არის. ძალიან უხარისხოა. ქართული სახელმძღვანელოები ფიზიკურად არ მოგვეპოვება“; „გვიწევს უცხოურ ენაზე ინფორმაციის მიღება“) (ეს პასუხები ამოვიდა შემდეგ უნივერსიტეტებში: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

კვლევაში მონაწილე სტუდენტების 19%-მა დაასახელა ერთი ან რამოდენიმე სახელმძღვანელო ან/და კურსი. ცხრილში მოცემულია ყველა დასახელებული პასუხის რაოდენობა (მოცემულია კლებადობის მიხედვით).

ცხრილი # 6. დასახელებული სახელმძღვანელოები ან/და კურსი

| N  | დასახელებული სახელმძღვანელო ან/და კურსი<br>სტუდენტის პოზიცია - პასუხი  | პასუხის<br>რაოდენობა |
|----|--|----------------------|
| 1. | <b>სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია</b>  | 1377                 |
| 2. | <b>არვიცი/არ მახსოვს</b>   | 353                  |
| 3. | <b>სამართალი</b><br>(ტურავა ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; დიპლომატიური სამართალი; საკონსტიტუციო; სისხლის სამართალი; ვალერიან მეტრეველის ქართული სამართლის ისტორია; ევროკავშირის ვალდებულებითი; სანივთო სამართალი; ლადო ჭანტურია სამართლის წიგნები; შოთაძის სანივთო სამართალი; მეორე კურსის სამართლის წიგნები სამართალში; თამარ ზარანდიას სანივთო სამართალი; რომის სამართალი; კორპორაციული სამართალი; სამოხელეო სამართალი; გიორგი ხუბუას სახელმძღვანელო; საოჯახო მემკვიდრეობითი სამართალი; შრომის სამართალი; საქ-ოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები; საბანკო სამართალი- ზ.გაბისონიასი; ზურაბ ჭეჭელაშვილის სახელმეკრულებო და ვალდებულებითი სამართალი; საკონსტიტუციო მართლსაჯულება; საარბიტრაჟო სამართალი; საარჩევნო და საგადასახადო სამართალი; ადამიანის უფლებები და ვალდებულებები; იურიდიული ლიტერატურა; კრიმინალისტიკა; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა) | 56                   |
| 4. | <b>სხვა</b><br>(მიმართულებებისა და სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომლებიც დასახელდა ერთჯერ, ან ორჯერ)  | 39                   |
| 5. | <b>ეკონომიკის სახელმძღვანელოები</b><br>(ეკონომიკის საფუძვლები, ეკონომიკური აზრის ისტორია. მე-2 კურსის ეკონომიკა; მენეჯი- ნიკოლსონის, საერთაშორისო ეკონომიკა)   | 34                   |
| 6. | <b>ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო</b><br>(პირველი კურსის ფსიქოლოგიის შესავალი; ფსიქოლოგიის ისტორია; ფსიქოლოგიის საფუძვლები; სამხედრო ფსიქოლოგია; ღია ქურხულის განვითარების   | 29                   |



|     |  |    |
|-----|--|----|
|     | ფსიქოლოგია; დანიელ გოლდმანის ემოციური ინტელექტი; სოციალური ფსიქოლოგია; ნეიროფსიქოლოგიის შესავალი; რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს ფსიქოლოგია; ნეიროფიზიოლოგია; დავით ჩარკვიანის ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები)  |    |
| 7.  | <b>ბიოქიმია</b><br>(თომას დევლინი)   | 26 |
| 8.  | <b>მენეჯმენტი</b><br>(მარი კოულტერის მენეჯმენტის საფუძვლები; მალვა მაჭავარიანის სტრატეგიული მენეჯმენტი; განათლების მენეჯმენტი; ინოვაციების მენეჯმენტი; კონფლიქტების მენეჯმენტი; პროექტების მენეჯმენტი; ოპერაციული მენეჯმენტი; სასტუმროების მენეჯმენტი; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; ამსტრონგის ადამიანური რესურსების სახელმძღვანელო; როსტომ ბერიძე ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; მედია და მენეჯმენტი) | 25 |
| 9.  | <b>საერთაშორისო ურთიერთობები</b><br>(საერთაშორისო ურთიერთობები. ალბერტ მენტეშაშვილის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია. ჰენრი კისინჯერის დიპლომატია. ჰეივუდის პოლიტიკა და პოლიტიკური იდეოლოგიები; დიურჰიმის საერთაშორისო სამართლის თარგმანი, ნიკა ჩიტაძე გეოპოლიტიკა, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; ჰობსბაუმი ერიკ - ერები და ნაციონალიზმი; ტერორიზმი და კონტრტერორიზმი)               | 19 |
| 10. | <b>ბიოლოგია</b><br>(მიკრობიოლოგია; დარეჯან ჩიკვილაძის და დარეჯან მეტრეველის მიკრობიოლოგია; ფიზიოლოგია; მესამე კურსის მიკრობიოლოგია)  | 18 |
| 11. | <b>ბიზნეს ადმინისტრირება</b>   | 18 |
| 12. | <b>პირველი კურსის სახელმძღვანელოები</b><br><i>(ეს პასუხი ყველაზე მეტჯერ დასახელდა შემდეგ სასწავლებლებში: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია)</i>  | 17 |
| 13. | <b>ლიტერატურა ტურიზმის სფეროში</b><br>(ბიზნესის ტურიზმი, ტურიზმის მენეჯმენტი)  | 16 |
| 14. | <b>მეორე კურსის სახელმძღვანელოები</b><br><i>(ეს პასუხი ყველაზე მეტჯერ დასახელდა შემდეგ სასწავლებლებში: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის ღია უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)</i>   | 15 |
| 15. | <b>ფარმაკოლოგია</b><br>(სამკურნალო მცენარეები და ფიტო პრეპარატები)   | 14 |
| 16. | <b>მესამე კურსის სახელმძღვანელოები</b><br><i>(ეს პასუხი ყველაზე მეტჯერ დასახელდა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში)</i>   | 14 |
| 17. | <b>ანატომია</b><br>(ტოპოგრაფული; ნეიროანატომია; კლინიკური ანატომია; პათანატომია; ადამიანის ანატომია-კაციტაძე; ადამიანის ნორმალური ანატომია)  | 12 |
| 18. | <b>ხელმისაწვდომი არ არის</b>   | 12 |
| 19. | <b>ინგლისური ენის სახელმძღვანელო</b><br>(მე-2 კურსი, მე-4 კურსი, B1.1 დონის ინგლისური, პროფესიული ინგლისური)   | 10 |
| 20. | <b>ფინანსები</b><br>(ფინანსური აღრიცხვა; სავარჯიშოების კრებული; ზედამხედველობის და რეგულირების სისტემები; ფინანსური მენეჯმენტი; ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟა; ფინანსური პოლიტიკა)  | 10 |

|     |  |   |
|-----|--|---|
| 21. | <b>გენეტიკა</b>  | 9 |
| 22. | <b>ხელოვნებათმცოდნეობა</b><br>(ლიტერატურა და ხელოვნება; პირველი კურსის პრეისტორიული საზოგადოების და ძველი ცივილიზაციების ხელოვნება; ლეონარდო და ვინჩი: სრული ფერწერა და ნახატები; კოსტუმრების ისტორია; ხელოვნების ისტორია; მიქელანჯელო-დასრულებული სამუშაოები; 100 თანამედროვე მხატვარი A-Z)   | 9 |
| 23. | <b>ნევროლოგია</b><br>(ვერულაშვილი ნევროლოგია - პროპედევტიკა და ტიპური დიაგნოსტიკა)   | 9 |
| 24. | <b>შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა</b><br>(თერაპია; ტატიშვილის სნეულებათა დიაგნოსტიკა; ინფექციური სნეულებები; კანისა და ვენერიული სნეულებები; ემხვარის სნეულებების წიგნი)   | 9 |
| 25. | <b>ისტორია</b><br>(საქართველოს სტორია; ქართული კრიტიკის ისტორია; საქართველოს ეკლესიის ისტორია; საქართველოს ისტორიის შესავალი-მანანა სანაძე; ევროპა და საქართველო; უახლესი ისტორია )  | 8 |
| 26. | <b>მათემატიკა</b><br>(თოფურიას წიგნები; ალბათობის თეორია; მათემატიკური ანალიზი; რიცხვითი ანალიზი; პრეკალკულუსი და კალკულუსი)   | 8 |
| 27. | <b>არსებული სახელმძღვანელო მოძველებულია განახლებას საჭიროებს ან/და სათარგმნია</b>  | 7 |
| 28. | <b>ბიოფიზიკა</b>   | 7 |
| 29. | <b>ქირურგია</b><br>(კერძო ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, პირის ღრუს ქირურგია)   | 6 |
| 30. | <b>დერმატოლოგია</b>  | 5 |
| 31. | <b>ოფთალმოლოგია</b><br>(თვალის სნეულებები - ბერაძე)  | 5 |
| 32. | <b>მეხუთე კურსის სახელმძღვანელოები</b><br><i>(ეს პასუხი ყველაზე მეტჯერ დასახელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში)</i>   | 5 |
| 33. | <b>ყველა კურსის სახელმძღვანელო (პირველიდან მეხუთე კურსის ჩათვლით)</b><br><i>(ეს პასუხი ყველაზე მეტჯერ დასახელდა შემდეგ სასწავლებლებში: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)</i> | 5 |
| 34. | <b>სოციოლოგია</b><br>(შესავალი სოციოლოგიაში)   | 4 |
| 35. | <b>პარაზიტოლოგია</b>   | 4 |
| 36. | <b>ჰისტოლოგია</b><br>(პირველი კურსის სახელმძღვანელო)   | 4 |
| 37. | <b>კომპიუტერული მეცნიერებები</b><br>(თანამედროვე საოფისე პროგრამები; ინფორმაციული ტექნოლოგიები; პროგრამირების ენა ++. დისკრეტული მათემატიკა. კომპიუტინგი)  | 4 |
| 38. | <b>ლაბორატორიის სახელმძღვანელო</b><br>(ცერებრული დამბლის შესახებ; მეორე კურსის მასალები)   | 4 |
| 39. | <b>ლიდერობის - პიარის სახელმძღვანელო</b>   | 3 |
| 40. | <b>სამაგისტროს სახელმძღვანელოები</b><br><i>(პასუხი დასახელდა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში)</i>  | 3 |

|  |   |
|--|---|
| <b>41. გარემოს დაცვა</b><br>(წიაღისეულის გამდიდრების ფოლათაციური მეთოდები; გარემოს დაცვის პრობლემები სამოქალაქო ავიაციაში)   | 3 |
| <b>42. ფიზიკა</b><br>(თერმოდინამიკის მოკლე კურსი; ელექტრული წრედები)   | 3 |
| <b>43. მეოთხე კურსის სახელმძღვანელოები</b><br><i>(ეს პასუხი ყველაზე მეტჯერ დასახელდა შემდეგ სასწავლებლებში: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტი)</i> | 3 |
| <b>44. ნათარგმნი სახელმძღვანელო</b>  | 2 |
| <b>45. უროლოგია</b>  | 2 |

სტუდენტები, რომლებიც დაასახელებდნენ ან შეავსებდნენ სასწავლო კურსი/სახელმძღვანელოს ველს, უნდა დაესახელებინათ მიზეზები, რატომ არ არის ხელმისაწვდომი მათ მიერ დასახელებული სახელმძღვანელოები. სტუდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამოდენიმე მიზეზი და ასევე ჩაეწერათ როგორც დამატებითი მიზეზი ან რეკომენდაცია. ცხრილში მოცემულია დასახელებული მიზეზები, დასახელების ჯერადობა კლების მიხედვით.

ცხრილი # 7. დასახელებული მიზეზები, თუ რატომ თვლიან სტუდენტები რომ სახელმძღვანელოები არ არის ხელმისაწვდომი.

| დასახელებული მიზეზები   | რაოდენობა |
|---|-----------|
| სასწავლო კურსის გავლა მოხდა სახელმძღვანელოს გარეშე  | 217       |
| სახელმძღვანელო / წიგნი მოძველებულია და არ შეესაბამება თანამდეროვე მოთხოვნებს  | 193       |
| სახელმძღვანელო/წიგნი დეფიციტურია და არ არის ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის   | 184       |
| სახელმძღვანელოს/წიგნის შეძენა სტუდენტის მიერ არ ხდება სიძვირის გამო   | 172       |
| სახელმძღვანელოები ნათარგმნია და არ არის ენობრივად გამართული (ტექსტი ნათლად არ გადმოსცემს სახელმძღვანელოს შინაარსს)  | 145       |
| სახელმძღვანელოს ვიზუალური მასალა (სურათები, გამოსახულებები, ფოტოები, სქემები, და სხვ.) არ არის ნათელი და შესაბამისი - ზუსტად არ ასახავს ტექსტობრივ მასალას  | 141       |
| სახელმძღვანელო არ არის შესაბამასობაში შრომის ბაზართან   | 130       |
| სახელმძღვანელოს ტექსტი ნათლად არ გადმოსცემს შინაარსს (წინადადება და ტექსტის სტრუქტურა არ არის გასაგები; უცნობი და რთული სიტყვები არ არის ახსნილი) და არ არის მორგებული ყველასთვის გასაგებ ენობრივ სტანდარტს | 125       |
| სახელმძღვანელო არ ფარავს სილაბუსით განსაზღვრულ თემებს   | 113       |
| სხვა მიზეზი (დასახელების გარეშე)  | 110       |
| სახელმძღვანელოში მკაფიოდ არ არის მითითებული სასწავლო მიზნები  | 98        |

|  |    |
|--|----|
| სახელმძღვანელოში ტექნიკური ტერმინები არ არის განმარტებული                  | 74 |
| მიჭირს დასახელება  | 39 |
| ძირითადად უცხოურენოვანია. არ არის ნათარგმნი                                | 22 |
| pdf ვერსიის არქონა (ხელმიუწვდომლობა)                                       | 9  |
| საავტორო უფლებების გამო არ ხდება ინტერნეტში განთავსება                     | 3  |
| პრაქტიკული მაგალითების სიმცირე (პრაქტიკულ სავარჯიშოებს ვერ ვახორციელებთ)   | 2  |
| სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსია არ არსებობდა. ელექტრონულად ხდებოდა მოწოდება | 2  |

ფოკუს ჯგუფზე მოწვეული სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების შეფასებებში ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს უმაღლესი განათლების განათლების შინაარსის ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა. აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს სასწავლო პროცესში ნაკლები აქცენტი კვლევით კომპონენტზე. სტუდენტების უმრავლესობა თვლის, რომ სასწავლო პროგრამა არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს.

სტუდენტების აზრით კარგი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ითვლება ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. ქართულად ლიტერატურა არის ძალიან ცოტა, ან თუ არის მოძველებულია. უმაღლესი სასწავლებლებისთვის არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში უცხოენოვანია და ნათარგმნი არ არის ან თუ არის ხშირ შემთხვევაში არ ეხმიანება სასწავლო მიზნებს და ამოცანებს.

სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ხშირად სახელმძღვანელო ნაბეჭდი სახით არ არსებობს, (ან არსებობს, მაგრამ სტუდენტებისთვის არ არის ხელმისაწვდომი მაღალი ფასის გამო) და არსებობს მხოლოდ ელექტრონული ვარიანტი, რომელიც ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის სტუდენტისთვის. რიგ შემთხვევებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც კი ვერ ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას, რადგან შეიძლება იყოს ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ წიგნის რამოდენიმე ეგზემპლარი, მაგრამ როდესაც ფაკულტეტზე ასეულობით სტუდენტი სწავლობს და ეს წიგნი წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს, ბუნებრივია, ყველა ვერ მოახერხებს მისით სარგებლობას. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები თავისთავად სწავლის ხარისხსა და გარემოზე უარყოფითად აისახება და ეს დისკომფორტს უქმნის არა მხოლოდ სტუდენტებს არამედ ლექტორებსაც, რადგან ასეთ შემთხვევებში ისინი იძულებულნი არიან გამოძებნონ რაიმე გზა და საშუალება (მაგალითად, შექმნან რიდერი, გააკეთონ თარგმანი და ა.შ.), რომ სწავლების პროცესი არ შეფერხდეს და საბოლოოდ ისინი გავიდნენ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებზე.

*„ონლაინ ვერსიები არის. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ მასალა, რომელიც კონკრეტულ კვირაში არის მოსამზადებელი, არ არის ატვირთული და დროში იწელება, გვჭირდება შეხსენება, რთულია ონლაინ ფორმატში წაიკითხო, გვიწევს ქსეროქსებზე სირბილი, რომ ნორმალურად წაიკითხო.“*

„ანალოგიური პრობლემა არის წერეთელშიც. მართალია, 4 ბიბლიოთეკა გვაქვს, მაგრამ იყო ისეთი საგანი, რომელსაც გავდიოდით ისტორიულ ფაქულტეტზე, რომ ერთი წიგნი იყო მარტო ბიბლიოთეკაში და კურსზე ვართ 84 ადამიანი, ფაქტობრივად გვიწევდა წვალემა, წიგნების ონლაინ ვერსიებიც არ იყო ჩვენთან. სამეზობლო და საწვალებელი არის ზოგადად ჩვენთვის“.

„პირველი კურსის პირველივე სემესტრიდან დადგა ეგ პრობლემა. როცა მივედი უნივერსიტეტში და ვიკითხეთ წიგნების რაოდენობა, რამდენიც ვიყავით კურსზე, იმდენზე არ იყო გათვლილი და მერე საწვალებელი იყო, კონსპექტები იყო გასაკეთებელი, ქსეროქსებზე სარბენი და ა.შ. ილიაუნს მოწესრიგებული აქვს, ონლაინ ფორმატიც აქვთ და ჩვენთან ონლაინ ფორმატიც არ არის. იშვიათია, რომ რომელიმე წიგნის ონლაინ ფორმატი იყოს ჩვენს უნივერსიტეტში“.

„პირველი კურსის პირველივე სემესტრიდან დადგა ეგ პრობლემა. როცა მივედი უნივერსიტეტში და ვიკითხეთ წიგნების რაოდენობა, რამდენიც ვიყავით კურსზე, იმდენზე არ იყო გათვლილი და მერე საწვალებელი იყო, კონსპექტები იყო გასაკეთებელი, ქსეროქსებზე სარბენი და ა.შ. ილიაუნს მოწესრიგებული აქვს, ონლაინ ფორმატიც აქვთ და ჩვენთან ონლაინ ფორმატიც არ არის. იშვიათია, რომ რომელიმე წიგნის ონლაინ ფორმატი იყოს ჩვენს უნივერსიტეტში“.

„პრობლემა ის არის, რომ ალბათ უნდა იყოს შესაძლებელი ქართულ ენაზე მოვინახოთ ეს ლიტერატურა და არ სჭირდებოდეს ლექტორს და სტუდენტს წვალემა და თარგმნა“.

„არის საგანი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რომელსაც გავდიოდით წიგნით გიორგი მელიქიშვილის ავტორობით და ეს იყო გამოცემული 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში და საკმაოდ ძველი იყო. გიორგი მელიქიშვილი ძალიან კარგი ისტორიკოსი იყო და მისი აღმოჩენა ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ მის შემდეგ ბევრი რამ აღმოაჩინეს და ბევრი რამ შეისწავლეს და ეს ყველაფერი უკვე გვაკლდება. პროფესორმა დამატებითი ლიტერატურა მოგვცა, რაც იცოდა თვითონ, რომ ეს აქ არ წერია, მაგრამ ძირითადი ლიტერატურა ის იყო, სადაც ბევრ რამეს ვტოვებდით. ეს იყო პრობლემა, რომ ძალიან ძველი წიგნით გავდიოდით მაგ საგანს“.

მსგავსი კომენტარები დაფიქსირდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტების მიერ. მაგ: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, მედიცინის, იურიდიული და განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ.

ჰუმანიტარულ მეცნიერების სტუდენტების აზრით სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა უფრო ინდივიდუალურია, რადგან ტექნიკურ საგნებში სახელმძღვანელოებზე წვდომა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან და რადგანაც ტექნიკური-მათემატიკური საგნების სწავლა უფრო ადვილია, მაგრამ როდესაც სტუდენტს აქვს ყოველ დღე 60-70 გვერდი სასწავლო, შეუძლებელია, რომ თუ წიგნი არ ექნებათ, რიდერიდან შეძლოს სწავლა.

რაც შეეხება ნათარგმნ სახელმძღვანელოებს, სტუდენტების აზრით ტერმინები განმარტებულია, მაგრამ სარკაზმული ნათქვამები, შინაარსი არის გაუგებარი და არ ეხმიანება სილაბუსით განსაზღვრულ თემებს.

*„მაგ. ამერიკული, მე არ ვიცი კარგად ამერიკის ისტორია და მე ვერ გავიგებ. პარალელი რომ გავავლოთ საქართველოზე. ასეთი შემთხვევა მე მქონდა, ვახსენე ეს საგანი შესავალი ისტორიის მეცნიერებებში-გავდიოდი ამერიკული წიგნით, ავტორი არ მახსოვს სამწუხაროდ და იყო იქ ამერიკულ ისტორიებთან დაკავშირებული პარალელები და ა.შ. ნამდვილად ვერ ვხვდებოდი რაში იყო საქმე და მერე უკვე გუგლით ვისარგებლე“.*

*„მე მაქვს ისეთი შემთხვევა, მაგ. ვალდებულებით სამართალში ძალიან მჭირდებოდა სამოქალაქო კოდექსის მესამე ნაწილი, ვაპირებ ეგ წიგნი შევიძინო, რადგან ძალიან მიჭირს ყოველი მასალის მოსამზადებლად ონლაინ 100 გვერდზე მეტი წავიკითხო, ტირაჟიც ამოწურულია და ვერ მოვახერხე ეს წიგნი რომ შემიძინა“.*

რიგი უნივერსიტეტის სტუდენტების აზრით სასწავლო სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია, შესაბამისად პრობლემა არ შექმნიათ სასწავლო პროცესის დროს.

ისტორიისა და პოლიტოლოგიის სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სანამ სასწავლო პროცესი გადავიდოდა დისტანციურ სწავლებაზე, პრეზენტაციის მოსამზადებლად ან და ესეს დასაწერად აქტურად იყენებდნენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რაც გულისხმობს, რომ სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი იყო. ხოლო დისტანციური სწავლებაზე გადასვლის შემდგომ ლექტორები ელ.ფოსტაზე უზავნიდა ყველა სტუდენტს მასალას.

*„თსუ-ს მაგალითზე ვიტყვი, რომ მე ჯერ არ შემქმნია პრობლემა. თსუ-ს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც 10 000-მდე წიგნია და სპეციალურად ჩვენი მეილები გვაქვს ყველას, და ამ მეილით ვრეგისტრირდებით. რაც შეეხება კონკრეტულად ჩემ ფაკულტეტს-ისტორიულს, ხშირად იყო, რომ ლექტორები აგ ზავნიან მეილზე. ამ შემთხვევაში, მე არანაირი პრობლემა არ მქონია წიგნის ხელმისაწვდომობის მხრივ“.*

*„წიგნებთან დაკავშირებით, პირველი კურსიდანვე არასდროს არ შემქმნია პრობლემა. ჩვენც ჩვეულებრივ რეჟიმში სასწავლო წიგნებით გავდიოდით. იყო შემთხვევები, როდესაც ბიბლიოთეკაში მოიპოვიებოდა რამოდენიმე ეგ ზემპლარი, ეს ეხებოდა იმ წიგნებს, რომლებიც იყო საპილოტე ეგ ზემპლარი“.*

*„იმ საგნებს რომელსაც ვსწავლობდით: საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სამართალმცოდნეობა, სისხლის სამართლის ზოგიერთი ნაწილი, ყველა საგნის სასწავლო მასალებში ონლაინ პლატფორმაზე, არგუსზე არის ამ საგნების პდფ ფორმატი ატვირთული, და ყველა სტუდენტს აქვს წვდომა ამ სასწავლო მასალაზე“.*

# დანართი

## დანართი #1. რაოდენობრივი (online) კვლევის კითხვარი

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია პროექტის ფარგლებში ახორციელებს კვლევას „სტუდენტების ხელმისაწვდომობა სასწავლო ლიტერატურაზე“. კვლევა ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შესწავლა სტუდენტებში.

პროექტის განხორციელება შესაძლებლობას მისცემს როგორც უნივერსიტეტებს, ასევე უმაღლესი განათლების სფეროში მყოფ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს მკაფიოდ დაინახონ სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები, სტუდენტების შეფასებები, რაც მოკლევადიან პერიოდშივე ხელს შეუწყობს ახალი პროგრამებისა და ინიციატივების დასახვას, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაზე.

რაოდენობრივი (online) კვლევა - ხორციელდება თბილისსა და რეგიონში მცხოვრები სტუდენტებთან (საქართველოს მასშტაბით)

I ბლოკი. დემოგრაფია

|    |   |   |
|----|---|---|
| 1  | რესპოდენტის სახელი/გვარი                            |   |
| 2  | საკონტაქტო ტელეფონი                                 |   |
| 3  | ელ. ფოსტა   |   |
| 4  | სქესი   | 1. <input type="checkbox"/> მამრობითი<br>2. <input type="checkbox"/> მდედრობითი<br>3. <input type="checkbox"/> სხვა                         |
| 5  | ასაკი (მიუთითეთ)                                    |   |
| 6  | მონიშნეთ თქვენი სწავლების სფერო                     | <b>ჩამონათვალი</b>  |
| 7  | რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობთ                | 1. <input type="checkbox"/> სახელმწიფო<br>2. <input type="checkbox"/> კერძო   |
| 8  | ჩამოთვლილთაგან რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობთ | <b>ჩამონათვალი</b>  |
| 9  | თქვენი არჩეული ძირითადი სპეციალობის დასახელება      | <b>ჩამონათვალი</b>  |
| 10 | სწავლების საფეხური                                  | 1. <input type="checkbox"/> ბაკალავრიატი (IV კურსი)<br>2. <input type="checkbox"/> მაგისტრატურა<br>3. <input type="checkbox"/> დოქტორანტურა |
| 11 | ხართ თუ არა დასაქმებული                             | 1. <input type="checkbox"/> კი<br>2. <input type="checkbox"/> არა   |

**II ბლოკი. საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებზე (წიგნებზე) ხელმისაწვდომობა**

1. თქვენი აზრით, სტუდენტებისთვის ზოგადად ხელმისაწვდომია/არსებობს თუ არა საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები (წიგნები)? (იგულისხმება, სტუდენტის მიერ არჩეულ ძირითად სპეციალობაში) *(ერთი პასუხი)*
  1. სრულიად ხელმისაწვდომია
  2. ნაწილობრივ ხელმისაწვდომია
  3. მეტნაკლებად ხელმისაწვდომია
  4. ნაწილობრივ არ არის ხელმისაწვდომი
  5. სრულიად არ არის ხელმისაწვდომი

2. 2018-2019 აკადემიური წლის განმავლობაში ზოგადად რამდენს შეადგენდა საშუალოდ თვეში და წელიწადში სტუდენტური ცხოვრების ხარჯები?

|                | 0-50                     | 50-100                   | 100-200                  | 200-300                  | 300-ზე მეტი              | არ დამიხარჯავს           |
|----------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| საშუალოდ თვეში | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| წელიწადში      | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3. 2018-2019 აკადემიური წლის განმავლობაში რა ხარჯი გაწიეთ სასწავლო ლიტერატურის/წიგნების შესაძენად საშუალოდ თვეში და წელიწადში?

|                | 0-50                     | 50-100                   | 100-200                  | 200-300                  | 300-ზე მეტი              | არ დამიხარჯავს           |
|----------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| საშუალოდ თვეში | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| წელიწადში      | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4. რა ფორმით ეუფლებით/ეუფლებოდით სასწავლო მასალას ძირითადი სპეციალობის შესწავლის დროს? (რესპონდენტს, იგულისხმება ყველა სახელმძღვანელო (წიგნი) მონიშნეთ ყველა შესაძლო ვარიანტი

1.  ბეჭდური, შეძენილი საკუთარი სახსრებით
2.  ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან
3.  ბეჭდური, ქსეროასლი
4.  ციფრული, შეძენილი საკუთარი სახსრებით
5.  ციფრული, უფასოდ ჩამოტვირთული
6.  ციფრული, ლექტორის მიერ გაზიარებული
7.  სხვა სახის სასწავლო რესურსი (ჰენდაუთი, კონსპექტი და სხ.)
8.  სხვა (დააზუსტეთ)

5. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?

1. სრულიად ვეთანხმები; 2. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები; 3. ნაწილობრივ არ ვეთანხმები; 4. სრულიად არ ვეთანხმები; 5. ვერ ვაფასებ.



| #  | დებულება  | შეფასება |
|----|---|----------|
| 1  | ბექდური სახელმძღვანელოების სტრუქტურა არის ნათელი და გამჭვირვალე   |          |
| 2  | ბექდური სახელმძღვანელოების შინაარსი (სათაურები, ქვესათაურები) ეხმიანება სასწავლო ზოგად და კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს.              |          |
| 3  | ბექდური სახელმძღვანელოების შინაარსი ფარავს სილაბუსით განსაზღვრულ თემებს   |          |
| 4  | ბექდური ქართული სახელმძღვანელოები ენობრივად გამართული და შესაბამისია (ტექსტი ნათლად გადმოსცემს სახელმძღვანელოს შინაარსს)                |          |
| 5  | ბექდური უცხოენოვანი ნათარგმნი სახელმძღვანელოების ენობრივად გამართული და შესაბამისია (ტექსტი ნათლად გადმოსცემს სახელმძღვანელოს შინაარსს) |          |
| 6  | ციფრული სახელმძღვანელოების სტრუქტურა არის ნათელი და გამჭვირვალე   |          |
| 7  | ციფრული სახელმძღვანელოების შინაარსი (სათაურები, ქვესათაურები) ეხმიანება სასწავლო ზოგად და კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს               |          |
| 8  | ციფრული სახელმძღვანელოების შინაარსი ფარავს სილაბუსით განსაზღვრულ თემებს   |          |
| 9  | ციფრული ქართული სახელმძღვანელოები ენობრივად გამართული და შესაბამისია (ტექსტი ნათლად გადმოსცემს სახელმძღვანელოს შინაარსს)                |          |
| 10 | ციფრული უცხოენოვანი ნათარგმნი სახელმძღვანელოები ენობრივად გამართული და შესაბამისია (ტექსტი ნათლად გადმოსცემს სახელმძღვანელოს შინაარსს)  |          |
| 11 | ჰენდაუთი, კონსპექტი ან/და სხვა დასახელებული მასალის შინაარსი ეხმიანება სასწავლო ზოგად და კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს                |          |
| 12 | ჰენდაუთი, კონსპექტი ან/და სხვა დასახელებული მასალის შინაარსი ფარავს სილაბუსით განსაზღვრულ თემებს  |          |
| 13 | ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოები (ლიტერატურა) არის მოძველებული და საჭიროებს განახლებას   |          |
| 14 | ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოები (ლიტერატურა) განახლებულია და შეესაბამება თანამედროვე ტენდეციებს                                 |          |
| 15 | სახელმძღვანელო შექმნილია ცნობილი, აღიარებული აკადემიური პერსონალის (მეცნიერი, პროფესორი, პრაქტიკოსი) მიერ                               |          |

6. დაასახელეთ 3 სასწავლო კურსი/სახელმძღვანელო (წიგნი), რომელიც არ არის თქვენთვის ხელმისაწვდომი ან/და ხელმისაწვდომია, თუმცა არ იძლევა კურსით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას? (რესპონდენტს დაასახელეთ მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 3 სასწავლო კურსი/სახელმძღვანელო)

| I. სასწავლო კურსი/სახელმძღვანელო | II. სასწავლო კურსი/სახელმძღვანელო | III. სასწავლო კურსი/სახელმძღვანელო |
|----------------------------------|-----------------------------------|------------------------------------|
|                                  |                                   |                                    |

7. დაასახელეთ მიზეზები, რატომ არ არის ხელმისაწვდომი ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები? (რესპონდენტს მონიშნეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)
1. სასწავლო კურსის გავლა მოხდა სახელმძღვანელოს გარეშე
  2. სახელმძღვანელო არ ფარავს სილაბუსით განსაზღვრულ თემებს
  3. სახელმძღვანელო არ არის შესაბამასობაში შრომის ბაზართან
  4. სახელმძღვანელოში მკაფიოდ არ არის მითითებული სასწავლო მიზნები
  5. სახელმძღვანელოში ტექნიკური ტერმინები არ არის განმარტებული
  6. სახელმძღვანელოს ვიზუალური მასალა (სურთები, გამოსახულებები, ფოტოები, სქემები, და სხვ.) არ არის ნათელი და შესაბამისი - ზუსტად არ ასახავს ტექსტობრივ მასალას
  7. სახელმძღვანელოს ტექსტი ნათლად არ გადმოსცემს შინაარს (წინადადება და ტექსტის სტრუქტურა არ არის გასაგები; უცნობი და რთული სიტყვები არ არის ახსნილი) და არ არის მორგებული ყველასთვის გასაგებ ენობრივ სტანდარტს
  8. სახელმძღვანელოები ნათარგმნია და არ არის ენობრივად გამართული (ტექსტი ნათლად არ გადმოსცემს სახელმძღვანელოს შინაარსს)
  9. სახელმძღვანელო/წიგნი დეფიციტურია და არ არის ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის
  10. სახელმძღვანელო / წიგნი მოძველებულია და არ შეესაბამება თანამდეროვე მოთხოვნებს
  11. სახელმძღვანელოს/წიგნის შექმნა სტუდენტის მიერ არ ხდება სიძვირის გამო
  12. სხვა მიზეზი/რეკომენდაცია დაასახელეთ \_\_\_\_\_

**მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!**

## დანართი #2. ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო

### სამიზნე ჯგუფი:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
- სახელმძღვანელოების ავტორები;
- აკადემიური პერსონალი;
- განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები;
- სტუდენტები(ორგანიზაციებისა და ფაკულტეტის საბჭოების წევრები)
- ასოციაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს სტუდენტთა ხელმისაწვდომობის კვლევას სასწავლო ლიტერატურაზე.

კვლევის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შესწავლა სტუდენტებში.

პროექტის განხორციელება შესაძლებლობას მისცემს როგორც უნივერსიტეტებს, ასევე უმაღლესი განათლების სფეროში მყოფ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს მკაფიოდ დაინახონ სტუდენტების შეფასებები სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით.

### ფოკუს ჯგუფი

აღნიშნული კვლევის წარმატებით განსახორციელებლად და სრულფასოვანი ინფორმაციის მისაღებად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მონაწილეობა და მხარდაჭერა.

ფოკუს-ჯგუფის ფასილიტაციის ძირითადი პრინციპები (მოდერატორისთვის):

- დარწმუნდით, რომ მონაწილეებს კარგად ესმით კვლევის მიზანი, ახსენით დისკუსიის მიზანი და რას მოელით ამ დისკუსიისგან;
- ხაზი გაუსვით, თითოეული მოსაზრების, დამოკიდებულების და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას;
- უზრუნველყავით სანდო, ღია და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემო დისკუსიისთვის.

- კვლევის დროს მიღებული ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია;
- კვლევის გამოქვეყნებისას რესპოდენტის სახელები არ იქნება ნახსენები;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება ანგარიშის სახით და მოსაზრებების ავტორი არ იქნება მიკვლევადი.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის წესები:

**დისკუსიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია**

- თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს უარი განაცხადოთ მონაწილეობაზე;
- შეგიძლიათ თავი შეიკავოთ თქვენი პოზიციის ან მოსაზრების დაფიქსირებისაგან, თუ თავს არაკომფორტულად გრძნობთ

**ნებისმიერი პასუხი გასათვალისწინებელი და პატივსაცემია**

- არ არსებობს სწორი ან არასწორი მოსაზრებები
- გთხოვთ, პატივი ვცეთ ერთმანეთის მოსაზრებებს, თუნდაც არ ეთანხმებოდეთ

**საკითხზე ორიენტირებულობა**

- შეეცადეთ არ გადაუხვიოთ თემატურ მსჯელობას
- შეიძლება დაგვჭირდეს შეწყვეტინება, რომ შევძლოთ ყველა საკითხის დაფარვა

**ღიაობა და გახსნილობა**

- ისაუბრეთ ღიად და გახსნილად
- ხელი შევუწყოთ ერთმანეთს კონფიდენციალურობის დაცვაში, ჯგუფის გარეთ დეტალების განხილვისგან თავის შეკავებით.

**შესავალი კითხვა:**

1. წარმოგვიდგინეთ თავი და გვითხარით რამდენი ხანია მოღვაწეობთ საგანმანათლებლო სფეროში?

**გარდამავალი კითხვა:**

2. ზოგადად როგორ შეაფასებდით სტუდენტების მხრიდან სასწავლო სახელმძღვანელოების გამოყენებას სწავლების პროცესში?

**საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებზე (წიგნებზე) ხელმისაწვდომობა:**

3. გთხოვთ დაახასიათოთ სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე, როგორ განისაზღვრება გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების საჭიროება?
4. გთხოვთ აღწეროთ, რა ფორმები არსებობს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის მიწოდება ძირითადი სპეციალობების შესწავლის დროს? (მაგ. ბეჭდური, დროებით აღებული ბიბლიოთეკიდან, ციფრული, ესეროასლები და ა.შ.)
5. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული სახელმძღვანელოები და აღწეროთ მახასიათებლები თითოეულისთვის;
6. გთხოვთ შეაფასოთ შემდეგი დებულებები:
  - რამდენად ეხმიანება სასწავლო მიზნებს და ამოცანებს არსებული სახელმძღვანელოები?
  - რამდენად ადაპტირებულია სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი სტუდენტებისთვის?
  - როგორ ეხმიანება სილაბუსით განსაზღვრულ თემებს?
7. ძირითადი სახელმძღვანელოების სწავლების დროს არის თუ არა დამხმარე მასალის საჭიროება? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ განმარტეთ და მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები;

8. თქვენი დაკვირვებით და გამოცდილებით, თქვენს უნივერსიტეტში როგორ აფასებთ სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობას?

#### ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისთვის:

1. შექმნა თუ არა უნივერსიტეტმა სახელმძღვანელო პირდაპირ ან თანამშრომლობის გზით? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ აღწერეთ სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესი, კონკრეტული მაგალითის მოყვანით;
2. მიმდინარე ეტაპზე არის თუ არა დარჩენილი ფაკულტეტი, სადაც არ არის სახელმძღვანელო? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ აღნიშნულის მიზეზი;
3. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული სახელმძღვანელოები, რომლითაც წარმართება სასწავლო პროცესი და თქვენი მოსაზრებით საჭიროებს განახლებას;
4. თავად უნივერსიტეტი, როგორ ახდენს უნივერსიტეტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას?
5. გთხოვთ მოგვაწოდეთ, დამატებით სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხებსა და გამოწვევებზე ინფორმაცია;
6. თქვენი მოსაზრებით, როგორ შეიძლება გაიზარდოს სტუდენტთა ხელმისაწვდომობა სახელმძღვანელოებზე და რა როლი ეკისრება აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ხარისხის სამსახურს.
7. (შეკითხვა ავტორებისთვის) გთხოვთ გაგვიზიაროთ, რა ბარიერებს აწყდებით სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნისა და გავრცელების ნაწილში?
8. (შეკითხვა სასწავლებლის ადმინისტრაციას) ხდება თუ არა სასწავლო სახელმძღვანელოების ინფორმაციული სიახლის/ხანდაზმულობის შესწავლა? თუ კი, გაგვიზიარეთ მაგალითი, რომელ სახელმძღვანელოს შეეხო შინაარსობრივი განახლება?

#### შემაჯამებელი კითხვა:

9. დარჩა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი თემა განსახილველი?
10. გთხოვთ შეაჯამოთ თქვენი დისკუსიისას განხილული მოსაზრებები.

### დანართი #3. კატეგორია „სხვა“ - მოიცავს ისეთი სახელმძღვანელოების ჩამონათაღს, რომელიც დასახელდა არაუმეტეს ორჯერ

1. შენობების ინტერიერი და არქიტექტურული დიზაინი;
2. საჯარო მმართველობა
3. კულტუროლოგია;
4. აგრარული ტექნოლოგიები;
5. მევენახეობა და მეღვინეობა;
6. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია;
7. ნავიგაცია;
8. მეტეოროლოგია;
9. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები (მაგისტრატურის საფეხური);
10. ყველა კურსის სმთო და გეოინჟინერია;
11. ბიოეთიკა;
12. ბოტანიკა;
13. მეხუთე კურსის ქირურგია;
14. მეხუთე დერმატოლოგია;
15. ფილოსოფია;
16. მესამე კურსის ოპერაციული ოდონტოლოგია;
17. ფარმაკოლოგია;
18. სტომატოლოგია;
19. გინეკოლოგია;
20. პროპედევტიკა;
21. რადიოლოგია;
22. მეოთხე და მეხუთე კურსის პედიატრია;
23. ფიზიოლოგია;
24. ოტორინოლარინგოლოგია;
25. სასამართლო მედიცინა;
26. მეორე კურსის ადამიანის ფიზიოლოგია;
27. რადიოლოგია;
28. პირველი კურსის ციტოლოგია;
29. მესამე კურსის შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა (ავტორი: ტატიშვილი);
30. მეოთხე კურსის ფსიქიატრია;
31. ონკოლოგია;
32. ენდოკრინოლოგია;
33. ჰემატოლოგია;
34. ალერგოლოგია;
35. ჰიგიენა;
36. ორთოპედია;
37. ფიზიოთერაპია;
38. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის მიმართულებები;
39. ორთოდონტია;
40. კაპლანის პსიქიატრია;
41. ჰარისონის შინაგანი მედიცინა;
42. მესამე კურსის იმუნოლოგია;
43. ლათინური ენის სახელმძღვანელო.